ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 4

(გამარტივებული შესყიდვა Cpv 66500000; 66514110; **SMP 190000270**)

ქ. ფოთი 29 იანვარი 2019 წელი

ერთის მხრივ,
ს.ს.ი.პ„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519.
დირექტორი: რევაზ ბაბილუა (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”/,,დამზღვევად“)

და მეორეს მხრივ,
სს „სადაზღვევო კომპანია ალფა” ს/კ: 204568896 (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლ ად”/,,მზღვეველად“)
წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კახაბერ დიასამიძის სახით,
მისამართი: ქ.თბილისი, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16, Tel: + 995 32 64 06 40/32640199 ელ.ფოსტა: insurance@alpha.ge
საბანკო რეკვიზიტი: სს ვითიბი ბანკი (საქართველო)კოდი: UGEBGE22; ა/ა: GE33VT7588888888888888
მხარეებს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე: „სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების“ სახელმწიფო შესყიდვაზე.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგოში - ”ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 ”ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის” „სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურებას შემდეგი პირობებით:
შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს ბალანსზე არსებული, ავტომანქანების დაზღვევა. დაზღვევა უნდა ითვალისწინებდეს:

ა)სატრანსპორტო საშუალების დაზღვევას ნულოვანი ფრანშიზით;
ბ) გარეგანი ზემოქმედებით მიყენებულ დაზიანებით ან განადგურებით, უბედურ შემთხვევებით, ავტოსაგზაო შემთხვევებით, ხანძრით, ჩაძირვით, აფეთქებით, ვანდალიზმით, საგნების ვარდნით, სტიქიური მოვლენებით ან სხვა ქმედებით/ შემთხვევებით თუ დაზიანება მიადგება დაზღვეულ საშუალებას.
გ) დაზღვეული საგნის გატაცება ან გატაცების მცდელობა (ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას).
დ) დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობას.
ე) სატრანსპორტო საშუალების გაურკვეველ ვითარებაში დაზიანების ხარჯებს.
ვ) ტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
ზ) სატრანსპორტო საშუალების მძღოლ(ებ)ის და მგზავრების (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე) დაზღვევას არანაკლებ 10 000 ლარის ლიმიტით (ნულოვანი ფრანშიზით).
თ) მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევას (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე) არანაკლებ 10 000 ლარის ლიმიტისა (ნულოვანი ფრანშიზით) - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი.
ი) სხვა დამატებით პირობებს, რომელიც შემოთავაზებული იქნება პრეტენდენტის მიერ (არსებობის შემთხვევაში).
კ) დაზღვევის მოქმედების არეალი უნდა მოიცავდეს მინიმუმ საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიას.
2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალების სრულ დაზიანებად (განადგურება) უნდა ჩაითვალოს ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი სადაზღვევო თანხის მინ. 70%-ს ან მეტს შეადგენს ან განადგურებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების მინ. 70% ან მეტი;
2.3 სრული დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურებს ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულებას ან თუ ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის

მომენტისათვის მეტია ავტომანქანის საბაზრო ღირებულებაზე, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ჩაანაცვლოს ანალოგიური სატრანსპორტო საშუალებით.

2.4 დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მართვაზე უფლებამოსილია შემსყიდველის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

ქონების ჩამონათვალი:

№	დასახელება	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	გამოშვების წელი	დაზღვევის სახე	სადაზღვევო პრემია 2019 წლის 21 მარტის ჩათვლით
2	ა/მანქანა ,,NISSAN NAVARA" სახ. N BVB 918	12 250.00	2011	სრული	189,35
3	ა/მანქანა ,,NISSAN NAVARA" სახ. N BVB 921	12 250.00	2011	სრული	189,35
4	ა/მანქანა ,,HIUNDAI-1" სახ. N QQ795DD	57 276.00	2017	სრული	756.68
5	ა/მანქანა ,,KIA OPTIMA" სახ. N GU441UG	12 432.00	2011	სრული	191.64
	სულ:				1327,02

2.5 დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება უნდა მოხდეს, ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარმოდგენიდან, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მესამე პირის მიერ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენებისას, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობისას ან მათი მცდელობისას დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის, ან სატრანსპორტო საშუალების სრული დაზიანების ანაზღაურება უნდა გაიცეს მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.6 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს: - დაზღვევის მოქმედების არეალი– საქართველო, თურქეთი

2.7 შემსყიდველის მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე დაზღვევის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა ერთი თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის გაუქმება.

2.8 ხელშეკრულებაზე დანართი N 1 მოცემულია გამონაკლისების ჩამონათვალი, რომელსაც არ აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 1327.02 (ერთიათას სამას ოცდაშვიდი ლარი 02 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტების დაზღვევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება, უნდა განხორციელდეს 2019 წლის 29 იანვრიდან დან 2019 წლის 21 მარტის ჩათვლით.

4.2 დაზღვევის მოქმედება დაიწყება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და დასრულდება პოლისში აღნიშნული დაზღვევის ვადის ბოლო დღის 24:00 საათამდე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს დაზღვევის მომსახურებასთან და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის გათვალისწინებით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
ბ) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს“ საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2 640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
გ) საპატრულო პოლიციის (112) დაუყოვნებლივ გამოძახება;
დ) არ დაძრას ავტომანქანა შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის მისვლამდე, რათა შენარჩუნებული იქნას შემთხვევის პირვანდელი სახე;
7.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
ბ) შემსყიდველთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.
7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
ა. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს შესაბამისი დაზღვევის პოლისი
ბ. გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და მოცულობით. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

8. მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დაეკისრებათ პირგასამტეხლო- ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2 ”მიმწოდებელი” თავისუფლდება პირგასამტეხლოს გადახდისაგან თუ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილება არ არის გამოწვეული მისი ბრალით და დამოკიდებულია მესამე პირის მოქმედებაზე. რის შესახებაც მიმწოდებლის მიერ უნდა ეცნობოს შემსყიდველს და წარმოუდგინოს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტები.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2% (ორ) პროცენტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი” -ს მხრიდან საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის თანამშრომელი ნინო წულაია.
9.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობებისა და მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“–

სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუზველზე.

11. ფორს მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ფორს მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
11.2 ფორს-მაჟორის ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო.
11.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს - მაჟორის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.
11.4 ფორს მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
11.5 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასტან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
12.2 თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. შეტყობინება

13.1 თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო (ასევე ელექტრონული ფოსტის) გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფელის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.2 შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შესაძლოა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

14. სუბროგაციის უფლება

14.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის სუბროგაციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს/მოსარგებლეს გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
14.2. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი ანდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.

14.3. დამზღვევის/მოსარგებლის მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
15.2 ხელშეკრულების მე 8- მუხლის მოქმედება ვრცელდება მის სრულად შესრულებამდე.

16. სხვა პირობები

16.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

16.2 ყველა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.3 ხელშეკრულების დადების საფუძველი: გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ბ“ ქვეპუნქტი - გადაუდებელი აუცილებლობა; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 18 იანვრის N 316 განკარგულება.

„შემსყიდველი“/“დამზღვევი“

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–

დირექტორი: LEPL State Hydrographic Service of Georgia Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia Date: 2019.01.29 10:29:06 +04'00' რევაზ ბაბილუა

„მიმწოდებელი“/ „მზღვეველი“

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა”-ს

გენერალური დირექტორი: კახაბერ დიასამიძე

დანართი N 1

გამონაკლისების ჩამონათვალი

ამ პუნქტში გათვალისწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ იქნება გადახდილი) ეხება დაზღვევის მთელს ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას და პოლისს):

1.1.1. დამზღვევი არღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებს;

1.1.2. ზარალი გამოწვეულია ან გაუარესებულია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით;

1.1.3. დაზღვევის მომენტისთვის არსებული დაზიანებული ნაწილის ხელმეორედ დაზიანება;

1.1.4. დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა პირი, რომელიც იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;

1.1.5. მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად შესაბამისი სინჯების ჩაბარებაზე ან/და მზღვეველთან არ იქნა წარდგენილი ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების ოქმი ან ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.1.6. ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი (მათ შორის მართვის უფლების შეჩერების/ჩამორთმევის პერიოდში); ასევე იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს კონკრეტულ სიტუაციაში კანონმდებლობით ეკრძალება ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა;

1.1.7. დამზღვევის ავტოსატრანსპორტო საშუალება არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რომელიც მითითებულია განაცხადში;

1.1.8. ადგილი აქვს შემთხვევას, დანაკარგს ან დაზიანებას, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუდეგარ მდგომარეობაში;

1.1.9. ადგილი აქვს შემთხვევას, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების / სარეგისტრაციო მოწმობის ავტოსატრანსპორტო საშუალებაში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურებისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

1.1.10. შემთხვევა დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საჯარიმოზე გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე ყოფნისას;

1.1.11. ზიანი მიადგა ქონებას, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან/და ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით (თუ მისაბმელი არ არის დაზღვეული);

1.1.12. ავტოსატრანსპორტო საშუალება გაქირავებულია და/ან გამოიყენება შემოსავლის მიღებისათვის მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით და ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული პოლისში ან განაცხადში.

1.1.13. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირება ტვირთის სახით (ჩატვირთვის და გადმოტვირთვის ჩათვლით) საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით (ევაკუატორი) გადაზიდვა ან ბუქსირით გადაადგილება;

1.1.14. გარემოებები, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიაწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტი) აღნიშნულის შესახებ;

1.1.15. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება სისწრაფეში შეჯიბრში ან სამაშველო სამსახურში, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი სახით გამოცდა (Off Road; Test Drive);

1.1.16. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება პოლისში მითითებული მოქმედების არეალის გარეთ;

1.1.17. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება გადატვირთულია, მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენება ადგილებში, რომლებიც არაა განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის,

1.1.18. ავტოსატრანსპორტო საშუალება იძებნება ან მახასიათებლები არ ემთხვევა მის VIN კოდს.

1.1.19. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდება აეროპორტის ან საფრენი მოედნის აკრძალულ უბნებში;

1.1.20. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციული დეფექტებით, მექანიკური, პროგრამული ან ელექტროობის გაუმართაობით ან ან ასეთი გაუმართაობის მიზეზით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით;

1.1.21. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში:

1.1.22. ომი, დაპყრობა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ტერორიზმი, საბოტაჟი, საზოგადოებრივი არეულობები – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;

1.1.23. თუ დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენით სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

1.1.24. გარემოს დაბინძურების შედეგად დამდგარი ზიანი;

1.1.25. მაიონიზებელი რადიაცია ან დაბინძურება დასხივებული საწვავით ან ბირთვული ნარჩენებით, ბირთვული საწვავის აალება – ამ გარემოებების დროს დამდგარი ზიანი;

1.1.26. ავტოსატრანსპორტო საშუალების არალეგალური ან მართვისთვის უვარგისი, მათ შორის ტექნიკურად გაუმართავი ან ექსპლუატაციის პირობებისათვის შეუსაბამო ტექნიკური მდგომარეობა;

1.1.27. რადიოაქტიური, ტოქსიკური, ადვილად აალებადი და ბირთვული დანადგარების სხვა სარისკო კომპონენტები;

1.1.28. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში დროულად არ იყო გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად ან მისი ნაწილი.

1.1.29. განაცხადში სადაზღვევო შემთხვევის შესახებ დამზღვევის / მისი წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული ფაქტები და გარემოებები არსებითად ეწინააღმდეგება სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილ შესაბამის დოკუმენტებში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებს.

1.1.30. წინამდებარე დაზღვევით არ იფარება:

1.1.30.1. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ქმედება, რომელიც მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისაკენ: მათ შორის ზარალი გამოწვეული თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან მიყენების მცდელობით;

1.1.30.2. დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად დამდგარი შემთხვევის ხარჯი;

1.1.30.3. შემთხვევა დაკავშირებული დამზღვევის ან უფლებამოსილი მძღოლის ფსიქიკურ ან მძიმე ნერვულ აშლილობასთან, თუ შესაბამისი დიაგნოზი დადგენილია სამედიცინო დაწესებულების მიერ უფლებამოსილი მძღოლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ან მისი მოქმედების პერიოდში.

1.1.31. ***გაყალბება:*** თუ დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი/მოსარგებლე შეგნებულად ზრდის ზარალის თანხას ან აწვდის მზღვეველს ყალბ ან არასწორინფორმაციას.

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2019.01.29 10:31:58 +04'00'